სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/63

ქ. თბილისი

28 ივნისი 2020

სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათი პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ამფეთქებლის" განმახორციელებელი პერსონალის სახელფასო ტარიფის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ამფეთქებლის" განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციიდან მოწვეული ინსტრუქტორების სახელფასო ტარიფი შემდეგი ოდენობით:
   - პროფესიული განათლების მასწავლებელი – 1 საათი – 20 ლარი;
   - ინსტრუქტორი პარტნიორი ორგანიზაციიდან – 1 საათი - 25 ლარი.
2. ზემოთაღნიშნული საკითხი გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად;
3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ეთხოვოს სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსს, თ.წერეთელს;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**